№ 164 9 მარიამობისთვე ხუთშაბათი 1866—1879 9 მარიამობისთვე ხუთშაბათი № 164

რედაქცია: სოლოლაკზე, ბალის ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მ., ნახევარ წლისა—5 მ., სამის თვის—3 მ., ერთის თვისა—1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე 1 კპ.: ჩვეულებრივის ციცერო—5 კპ., პეტიტი—4 კპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდავი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

## ნახევარი წლის ხელის-მოწერა

## „დროებაზე“

მიიღება რედაქციაში—ბალის (სალოვის) ქუჩაზე გ. შადინოვის სახლებში, № 33

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ფასი ნახევარ წლის გაზეთისა, ე. ი. 1 ივლისიდამ წლის დამლევამდინ, გაგზავნით—ხუთი მანეთი.

# ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

პეტერბურღი, 4 აგვისტოს. „პრავიტელსტვენნი ვესტნიკი“ გვაცნობებს, რომ ლორის-მელიქოვის ქალი, მარიამი იმპერატრიცის სეფეთ (ფრეილინათ) დაუნიშნავთ. გამოვიდა ნება-რთვა, რომ აძლიონ „კერძო საჭიროების პადაროჟნები“ დალისტნის სამხედრო უფროსების სამმართველოებში. უფროს ინტენდანტს ღენერალ-ღუბერნატორს სკვორცოვს ებოძა თეთრი არწივის ორდენი წარსული ომიანობის დროს შრომისათვის.

კაირი, 6 აგვისტოს. მთელი კაბინეთი გამოვიდა სამსახურიდამ. შერივი იღებს თავსმჯდომარეობას ახალ სამინისტროში.

# საქართველო

## დღიური

*** „თფილისის მოამბე“ გვაცნობებს, რომ პირუტყვთა მფარველ საზოგადოების კამისიას ამ თვის 3 დაუთვალიერებია მეფაიტონეებისა და საზოგადოთ პირუტყვთა სხვა-და-სხვა დასადგომი ეზოები. სულ 24 ეზო გაუშინჯავთ და ამათში ექვსის გარდა სულ ყოველგან მეტად უწმინდურობა და ბინძურობა ჰყოფილა. ნეხვი გაუხვეტელად არისო დაგროვებული და ცხენები ზედ წვანანო. რადგანაც ეს უსუფთაობა პირუტყვებს გარდა ქალაქის მცხოვრებლებისათვის მავნებელია, ამიტომ კამისიას გამოუცხადებია ყველასთვის, ვინც კი პირუტყვებს ინახავს, რომ ყოველ დღე გასუფთაონ ეს ადგილები და ცხენებსა თივა, ან ბზე დაუგონო ძირსა.

*** დღევანდელ ნომერში მკითხველი ნახავს წერილს, რომლითაც საყოველთაოთ აცხადებენ, რომ თფილისში უნდათ დაარსონ მცირე წლოვანთა ყრმათა მფარველობის საზოგადოება, რომლის მიზანი, როგორც წერილიდამ გაიგებთ, მეტად კეთილი და სასარგებლოა. ამ საქმის მოთავენი სთხოვენ ყველას, ვისაც კი სურს დაესწროს,—პარასკევს, 10 აგვისტოს, ნაშუადღევის 8 საათზედ, მივიდნენ კავკასიის სამკურნლო საზოგადოების სადგომში, სადაც იქნება პირველი საზოგადო კრება დამაარსებლებთა.

*** წილკნიდამ გვწერენ ჩვენ, რომ „იქითკენ ახლა ისეთი ქურდობა არისო, რომ არა თქმულა და არ გაგონილაო. ისე ღამე არ გაივლის, რომ რაიმე შინაური პირუტყვები (ცხენები, ხარები, კამეჩები და სხ.) არ დაიკარგონო. ეს ქურდობა იქითკენ უფრო ხშირად ხდება კინტოებისგანაო (ბაზრის ხალხისგან), რომელთაც აღკრძალული აქვსთ, ან ვერ ახერხებენ ვაჭრობას და ცუდათ ჯდომას ამ ხელობას არჩევენო“.

*** ერთი თფილისში მცხოვრები გვაცნობებს ჩვენ შემდეგს ნიმუშს იმ ცარცვა-გლეჯისა და ქურდობისას, რომელიც ასე ძირ-გადგმულია ჩვენს ქალაქში:

„ივლისის 31 ჩამოვიდა აქ ზუგდიდიდამ ვაჭარი, გვარათ აბესამე სავაჭროთ. ის მივიდა ერთ თავის ნაცნობთან, რომელმანც თავის დუქანში მიიპატიჟა და დაალევინა. სადილს უკან, როცა ამათ დაიძინეს, აქ შემოვიდა ერთი აქაური ნავაჭრალი, ამოაცალა უბიდამ აბესამეს 3,000 (სამი ათასი) მანეთი და გაიპარა. გაეღვიძა ამას და ნახა ფული არ აქვს. მაშინვე დაუწყეს ძებნა იმ კაცს და იპოვეს. როცა მაგრა მოეპყრნენ იმას და აღარ შეეძლო უარი ეთქვა უბეში ჩადებულ ფულზედ, ჩუმათ გამოიღო სრულიად 3,000 მანეთი და შეაგდო ტახტ-ქვეშ და ვითომ არაფერი დაუწყო ძებნა და მისცა პატრონსაო“.

*** ამირალოვის სახლებში ცეცხლის გაჩენის მიზეზად ამბობენ შემდეგს: იქ მდგარა დურგლები, რომლებთაც, როგორც ვიცით, ექნებათ ნაფოტები და ნაშალოშინევი (ბურბუშელა). ამ ბურბუშელას გაუჩენია ცეცხლი და აქედამ მთელ შენობას მოსდებია ისა.

ჩვენ განაგონ ხმას ვამბობთ, ნამდვილი მიზეზი ჯერ არ ვიცით!

*** ჩვენ გვწერს რაჭიდამ გაზეთში დასაბეჭდათ თ. ა. ყიფიანი შემდეგს:

„მრავალ ჯერ დაბეჭდილა „დროებაში“ ბუგეულში რიონზედ უხიდობაზედ, მაგრამ ვერც გაზეთმა და ვერც სხვა საშუალებამ ვერაფერი უშველა აქ ხიდის გაკეთებას, რადგან მაზრის უფროსი ამ კეთილ საქმეზედ არაფრად ზრუნავდა.

ახლა საწყალს და უფოჩტობით მიტოვებულ რაჭის უეზდს ეღირსა უფროსად უ. ბარონ ღეიკინი, რომელიც არის კაცი პატიოსანი. მოვიდა თუ არა ეს 26 ივლისს უ. მიროვოისპოსრედნიკისა და ა ჯაყელის სიტყვით და შეგონებით ხვანჭკარის საზოგადოებამ, და ამათში ყიფიანებმა და მღვდლებმა ბუგეულის ხიდის გასაკეთებლად შესწირეს ოთხასი მანეთი და ტყის მასალა, რაც კი მოუნდება ხიდს. სხვა საზოგადოებაც, რასაკვირველია, დიდის სიხარულით სწირავენ ფულებს ამ კეთილ საქმესა. აგრეთვე შემოსწირის ფული: უუ. ბარონ ღეიკინმა და ა. ჯაყელმაც ოც-და-ხუთ-ხუთი მანეთი.

„სრული იმედი არის ეხლა, რომ სამის თვის განმავალობაში ბუგეულში რიონზედ ხიდი იქნება გაკეთებული და ამოდენის ხნის, (ათის წლის) დატანჯული და შეწუხებული ხალხი იქნება თავისუფლათ მოსიარულე ამ ხიდზედ“.

## „დროების“ კორრესპონდენცია

გორი, 4 აგვისტოს. გუშინ, 3 აგვისტოს, მე მომიხდა შესვლა გორის სასამართლოში, რომლის კარებთან, ძირს ისხდნენ ოთხი გლეხები, რომლებთაც დამინახეს თუ არა, წამოცვივდნენ. ყველა შეამცნევდა, რომ იმათ რაღაც ბოროტი შემოსწოლოდათ გულზედ, ისე დაღონებულის სახით იყვნენ. ყველას სათითაოდ ქაღალდი ეჭირათ ხელში. ისინი შემოახლოვდნენ მე დაერთათ შემომძახეს:

„ჩვენ გვაქვს საჩივარი და მოსამართლე მალე მობრძანდება თუ არაო? მე უპასუხე, რომ ბევრი ხანი აღარ უკ-

ლია მეთქი. სხვათა შორის, ვკითხე მათ, თუ რათ არიან ასე საცოდავათ დაღონებულები, ან რათ უნდათ მოსამართლე? ამის პასუხათ იმათ მითხრეს:

— ღმერთმა რომ ამოწყვიტოს იმათი ოჯახი, იმათი ცოლ-შვილი გვენახას გულ-ხელ დაკრეფილი და ნამტირალევი, როგორც გულ-ხელ დაკრეფილი და ნამტირალები ჩვენი ცოლ-შვილი დაგვრჩა სახლში!

„ღმერთმა გულ-მუცელში ცეცხლი გაუჩინოს იმათ, რომელთაც ჩვენ ასეთი საქმე გვიყვეს და ჩვენ გულ-მუცელს ჯავრისაგან ცეცხლი ეკიდება, რომ მათ წლიურ მოსავალზედ ხელი აგვაღებინეს! ჩვენის ცოლ-შვილითურთ შევხაროდით, ოროლი დღის ყანები გვქონდა, რომელშიაც წლითი-წლამდე სისხლის ოფლი გვქონდა ჩაღვრილი! ახლა კიდე რომ მკალია იყო დიდით-პატარამდის შიგ ჩავიხოცენით, შიგ ვიდექით ფიჩხებით და ვაი-ვაგლახით გადავაფრინეთ, ყანები გადავარჩინეთ და როცა მოვმკევით, დავსდგით ურმეულები და კიდეც ურმებს ვამზადებდით ძნის ჩამოსატანათ, ამ დროს ერთს ღამეს მოსულან, მოუტანიათ ურმები და რაც ძნა გვქონდა სულ ერთიან მოუპარავთ და წაუღიათო“! მისამეთქი? ვკითხე მე. და მომაგებეს ყველამ ქაღალდები, რომელნიც გადვიკითხე და გავიგე, რომ გლეხები იყვნენ ს. რუისში მცხოვრებნი. ამ საჩივრების შინაარსი ის იყო, რომ ხსენებულ გლეხებს ჰქონიათ აღებული მიწები თ. ქ. ამილახვრისაგან სალალოთ, ასრე, რომ თხუთმეტი წელიწადი მეტი ყოფილა, რაც იმ მიწებს თურმე ესენი მუშაობენ და ლალასაც აძლევენ ამილახვარს. მხოლოდ ამ დღეებში ს. სკრაში მცხოვრებელთ თ. ქ. და ა. შალიკოებს მიუტანიათ ურმები ღამით, დაუდვიათ რაც ამათ ნამუშევარ მიწებში ყანები და ქერები ჰქონიათ და სულ ერთიან წაუღიათ. ამისათვის სთხოვდნენ მომრიგებელს მოსამართლეს, რომ მას მოეხდინა განკარგულება და გარდაეხდევინებია ან ღირებული ფასი, ან ჭირნახული, — ქერში კოდზე 5 და პურში 6 მანეთი.

მე ვკითხე, რატომ არა ნახევით შალიკოები, იქნება შინაურულებ გირიგდებიანთ მეთქი? მიყავითო, მომიგეს: მაგრამ არას იძლევიანო. ამას ამბობენ, რომ არ კი მოვიპარევით, მამული ჩვენი იყო და ლალას რომ არ იძლეოდით ხოლმე, ამისათვის წამოვიღეთო.

— მაშ უთუოდ ასე იქნებოდა მეთქი; ლალა არ მიგიციათ, იმისთვის წაუღიათ მეთქი.

— რას გვიბრძანებ, შენი ჭირიმე, ლალა რაში უნდა მიგვეცა. რომელი მიწის მეპატრონენი ბრძანდებოდნენ! როგორც შენ არ გეკუთვნის იქიდამ ლალა, ისე იმათაო! მამული კი არ არის იმათი, შენი ჭირემეო, რადგანაც წელს მკალია ბევრი იყო და ყველას გაჰკრა, თუ ბევრით არა ცოტ-ცოტაობით ყველას ზარალი მისცაო და მერმისათვის უფრო ხალხი სხვა ნაირათ ფიქრობს, იმას შეუშინებიათ, რომ მშივრები არ დავრჩეთო, ამისათვის წაუღიათ და რომ გავიგეთ, მაშინ მეფლობელობა მოიგონესო. რატო დღითი არ მოვიდნენ, თუ იმათია ადგილები და დღისით არ წაიღესო! აქ თხუთმეტ წელიწადში სად იყვნენო, რატომ ერთხელ ლალა არ მოითხოვესო! თუ არა და მამული იმათი ყოფილიყო, იმათ მხოლოდ ერგებოდათ ლალა და არა მთელი მიწის მოსავალიო!

ამ საქმეზედ მიროვოი სუდმა დაუნიშნა ვადა 14 აგვისტოსთვის და არ ვიცი, როგორ გათავდება საქმე!

სწორეთ ქვის გული უნდა ჰქონოდა კაცს, რომ იმათი საცოდაობისათვის ეცქირნა, ისე საცოდაოთ, გულ-საკლავად ტიროდნენ.

ალ. შაიშმელოვი.

---

## კავკასიაში მცირე წლოვანთა ყრმათა მფარველობის დამაარსებელთაგან.

ჩვენ გვთხოვენ გადმოვბეჭდოთ ჩვენს გაზეთში ქვემო მოყვანილი წერილი, რომელიც „თბილისის მოამბის“ 145 ნომერში არის დაბეჭდილი:

„მ. ხ. უ. რედაქტორო! უარს არ ჰყოფთ დაბეჭდოთ შემდგომი განცხადება თქვენს პატივცემულ გაზეთში.

„ყველამ უწყის, რამდენათ ჩინებული და სასარგებლოა გონივრულად მოპყრობა მცირე წლოვან ბავშვებისა, რომელნიც დაბალ საზოგადოებაში ხშირად არა თუ სრულიად უზრუნველოდ და ზნეობითი უხელმძღვანელოდ რჩებიან, არამედ განათლებას მოკლებულ მშობელთა და აღმზრდელთა უმეცრებისა გამო ტანჯვასა და შეუძლებელ შრომას ეძლევიან. ხშირად ვნახავთ აგრეთვე, რომ ნორჩი ბავშვი, რომელიც ჯერ ძლივს ლაპარაკს ახერხებს, სწავლობს ლანძღვასა და საზოგადოთ საძაგელ სიტყვებს, რომელნიც იმას ესმის უფროსებისაგან, და ხშირად ჰხვდება აღმაშფოთებელ სცენებსა. ცხადია აგრეთვე, თუ როგორი ცუდი ზედ-მოქმედება აქვს ბავშვების ზნეობაზედ ზაოდებს, ფაბრიკებს და სახელოსნოებს, სადაც მთელი დღე და ღამე მუშაობენ ისინი ცოტათ თუ ბევრად გარყვნილ მუშებთან. ბიგიენური პირობანიც ამისთანა ბავშვების აღზრდისთვის, როგორც ვიცით, სრულიად შორს არიან მეცნიერების მოთხოვნილობასთან და ამიტომ მეტად მავნებელნი არიან იმათ სიმრთელისათვის. და ბოლოს თვითონ აღზრდაც იმათი, სამწუხაროდ, ვერ არის ისეთი, როგორიც სასურველი და საჭიროა.

„ყველაფერი ესა შეიძლება მოისპოს მხოლოდ მთელი საზოგადოების შეერთებული ძალდატანებით, როგორც ახლა ამერიკაში, სადაც არსებობენ განსაკუთრებითი საზოგადოებანი მცირე წლოვანი ბავშვების მფარველად. დრო არის ამგვარი საზოგადოება დაწესდეს ჩვენშიაც, მით უმეტეს, რომ ჩვენ პირუტყვთა დამზოგველი საზოგადოებაც კი გვყავს და ბავშვების მდგომარეობის გაუმჯობესობასო უფრო პირველ პლანზედ უნდა იყვეს?

„ეს აზრი მოუვიდათ რამოდენიმე (25-მდე) ახალგაზრდა პირებს, ამ საქმის თანამგრძნობლებს, დააარსონ ჩვენშიაც, კავკასიაში, მცირე წლოვანთა ბავშვთა მფარველობანი. დამაარსებელნი ამჟამად ამ საქმის შესადგენელად უფრო საჭირო მასალებს და უფრო რიგიანათ შესამუშავებლად სთხოვენ ყველას, ვინც ამ საქმის თანამგრძნობია, აცნობონ თავიანთი ჰაზრი და განზრახვა ან პირისპირ ნახვით და ან გამოგზავნით ცნობებისა ამ ადრესით: თბილისში, „თბილისის მოამბის“ რედაქციაში, გარდასაცემად მცირე წლოვანთა ყრმათა მფარველობის დამაარსებელთათვის.

„როცა ყოველივე ცნობანი და მოსაზრებანი ამ საქმეზედ წარმოდგენილნი და შემუშავებულნი იქნებიან, იმათ დაკვალად შეუდგებიან უსტავის პროექტის შემუშავებას, რომელიც დამტკიცებამდი იქნება საქვეყნოთ გამოცხადებული, რომ უფრო რიგიანათ ყოველი მხრივ გაირჩეს.

„ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ როგორც „თბილისის მოამბის“ რედაქცია, ისე სხვა გაზეთების რედაქციები უარს არ ჰყოფენ მისცენ ადგილი თავიანთ გაზეთებში ყველა განცხადებებსა და სტატიებს, რომელნიც ამ საქმეს შეეხებიან.

„ვსთხოვთ სხვა გაზეთების რედაქციებსაც, რომ გადაბეჭდონ ეს განცხადება!

ვ. ტრეხკოვსკი, ი. პეტროვი, ე. კასუმოვი.“

ჰბეჭდავს რა ამ განცხადებას, „დროების“ რედაქცია თავის მხრით აცხადებს, რომ ის დიდის სიხარულით მისცემს ადგილს თავის გაზეთში ამ სასარგებლო საქმის ყოველივე წერილებსა და განცხადებებს.

---

## წერილი რედაქტორთან

უფ. რედაქტორო! ამას წინათ წავიკითხე თქვენი პატივცემული გაზეთის მე 157 ნომერს „დღიურში“ ზუგდიდიდამ მოწერილი ცნობა მარტვილის სასულიერო სასწავლებლის გადატანაზე დროებით ს. ცაიშში. ავტორი ამ ცნობისა ამბობს: „აქ სასწავლებლის გადმოტანა არ არის ურიგოვო, რადგანაც ეს ადგილი ძალიან მშვენიერია და მოხერხებული (?) სასწავლებლისათვისაო, კარგის მდებარეობით, შენობებით, წყლით, პურითო და სხვა.

სწორეთ ამ სასწავლებლის ბედი 1873 წლიდამ უკულმართად დატრიალდა! იმ დღის აქეთ, როდესაც ის გადაიწვა უეცრად, მთელი სასულიერო წოდება და შეგირდები ამ სასწავლებლის მეტ გაჭირვებაში არიან: ხან კატის კნუტისავით ქუთაისში მოათრევენ, ხან მარტვილში; ახლა კიდევ ამტყდარან და იძახიან: „მარტვილი არ ვარგა, სხვაგან გადვიტანოთ

სადმეო“ და ზოგი ახალ-სენაკს ურჩევს ზოგი ზუგდიდს, ზოგი რას და ზოგი რასაო!! არ იქნა, ვერ აირჩიეს ამ ბედკრულის სასწავლებლისათვის ხეირიანი ადგილი! იქამდის მივიდა ამ სასწავლებლის გადატანის თაობაზედ ლაპარაკი, რომ დღეს ცაისშიაც გამოარჩიეს „მოხერხებული“ და „მშვენიერი“ ადგილი.

ამდენ მარჩევლებთან მეცა მსურს ერთი რჩევა მივსცე სამეგრელოს სამღვდელოებას და იმას, როგორც სურს, ისე მიიღოს ეს რჩევა!

იტყვიან: „ქონება კაცისთვისაო და არა კაცი ქონებისათვისაო.“ ამ სასწავლებლის შესახებაც ასე ითქმის: სასწავლებელი მოსწავლეთათვის და არა მოსწავლე სასწავლებლისათვის! თუ ეს ასეა, პირველი ადგალი სასწავლებლის გადატანის კითხვებში უნდა ეჭიროს ადგილს, სადაც უნდა გადიტანონ იგი, ე. ი. ეს ადგილი მდებიარებით უნდა შეადგენდეს სამეგრელოს შუას (ცენტრს), თან ადგილ-მდებარეობა უნდა აკმაყოფილებდეს გიგიენურს მოთხოვნილებას, და ყმაწვილების მშობლებსაც შვილების შენახვაც არ უძნელდებოდესთ; ამას გარდა ამ ადგილს უნდა ემხრობოდეს, როგორც ფოშტის გზა, ისე სოფლის გზები. პირველი არის ოსტატთათვის მიუცილებელი საჭირო და მეორე შეგირდების პატრონთათვის. ვავსინჯოთ ამ მხრით ის ადგილები, რომლებშიაც აპირებენ სასწავლებლის გარდატანას. მარტვილი მდებიარობს არა შუა სამეგრელოში; ის ცოტა უფრო ჩრდილოეთისაკენ არის; ადგილ-მდგომარეობა თვითონ მარტვილისა და ყმაწვილების იაფად შენახვა შედარებით აქ უფრო იაფად უჯდება კაცს! აქ არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც სხვათა შორის ყურადღების მიქცევის ღირსია. მე ვამბობ აქ სამეგრელოს ეფისკოპოსის ჰყოფაზე, რომელთანაც სამსახურის მოთხოვნილებისა გამო ხშირად მოუხდებათ ხოლმე მისვლა და შვილების ნახვა მღვდლებს. ამას გარდა აქ არის სუდის და პოლიციის განყოფილებანი, რომლებთანაც აგრეთვე თითქმის სენაკის მაზრის ნახევარი მცხოვრებნი საქმისა გამო ხშირ-ხშირად დაიარებიან ხოლმე.

ახლა სენაკი. როგორც ახალი, ისე ძველი-სენაკი ადგილ-მდგომარეობით მარტვილსაც და ზუგდიდსაც უკან ჩამორჩებიან. იგი, მართალია, რკინის გზაზედ ახლოა, მაგრამ თვით მეგრელიის სოფლის მცხოვრებლებზედ მოშორებულია. ჰავა ახალი-სენაკისა არის ნოტიო და სნეული. არ აქვს ხეირიანი წყალი! ზუგდიდი მეტის-მეტად დაშორებულია სამეგრელოზედ. ის თითქმის სამეგრელოს დასავლეთ კუთხეშია; ასე რომ ზემო-სამეგრელოს ე. ი. ცხენის-წყლის პირად მცხოვრებნი თითქმის ერთხელაც არ ყოფილან ზუგდიდში სიშორისა გამო. რაც შეეხება ჰავა!, ის იქაც, როგორც მარტვილში, მშვენიერია. აღვერჩა ცაიში.

ამაზედ უნდა მოგახსენოთ, რომ ეს მდებარეობს ზუგდიდიდამ სამხრეთ-აღმოსავლეთით; ის არის მთა-გორიანი ადგილი, გზააქვსმხოლოდ სენაკიდამ და ზუგდიდიდამ. ივ მხრიდამ კი, საიდაც უფრო ბევრი მომსვლელნი იქნებიან, გზა ან არ არის, და თუ არის, მეტისმეტი ცუდი. ცაისი თითქმის მთელს სამეგრელოზედ მოშორებულია მაგალითად: საჭილაოდამ იქამდინ დაახლოვებით ორმოც-და-თუთ- ხმეტი ვერსი მაინც იქნება და ლეჩხუმიდამ—სამოც-და-ათზედ მეტი. (ამას დაურთეთ მთისქედზედ გაყვანილი უხეირო გზა), ჯვარცმიდამაც ოც-დაათი ვერსი და სხვ.

ახლა ავიღოთ ის ადგილი, რომელიც მე მსურს ურჩიო სასწავლებლებისათვის. ეს გახლავს ნოქალაქევი,—სადაც ჰყოფილა ოდესღაც მთელი სამეგრელოს (კოლხიდის) ყოველგვარი სამმართველო, სადაც მოსულან არგონავთები! ეს ადგილი ისტორიულად არის სამეგრელოს „დედა ქალაქი, ან დედა ნაქალაქევი“. მაგრამ ახლა აქ ძველგან დარჩენია სამეგრელოს მხოლოდ ციხის ნაშრევებები, რომლებიც მოწმობენ წარსულს დროს და ძველს აქაურს ცხოვრებას.

ნოქალაქევი თითქმის შუაგულ სამეგრელოშია, მდინარე ტეხურის პირზედ მშვენივრად აღმაღლებულს, გაშლილს ადგილზედ, ახალ გაყვანილ გზა-ტკეცილის ახლოს. ახალ-სენაკზედ მხოლოდ თექვსმეტი და ძველ-სენაკზედ ათი ვერსით მოშორებულია. მე ამ ადგილს ურჩევ ყველას, ვინც კი სამეგრელოს, სასწავლებლის კეთილ-დღეობას ზრუნავს, იმისათვის რომ აქ სოფელიც ხშირია, სადაც ყმაწვილების შენახვა იაფად დაუჯდებათ. მშვენიერი ჰავა, აქვე ბუნებითი აბანო, ადგილ-მდებარეობა საუცხოვო, სამეგრელოს შუა (ცენტრი) ყველა ესენი, ჩემის აზრით, ამ ადგილს სასწავლებელისათვის სასარგებლოდ ხდიან! თორე სასწავლებლის ასე აქიდგან ტარება უამისოთაც გაჭირებულს სასულიერო პირო დიდ გასაჭირში ჩააგდებს.

კარგი იქნება, სამღვდელოება მიაქცევდეს ყურადღებას მხოლოდ მარტვილს და ნაქალაქევს და ერთ ერთ ამათგანში სამუდამოდ გარდასწყვეტდნენ სასწავლებლის დატოვებას და სახლსაც გააშენებდნენ, რომლისათვის ფული უკვე მზათ აქვთ!

ანთიმოზი.

# უცხო ქვეყნები

## ოსმალეთი.

ერთ ფრანცუზულ გაზეთში დაბეჭდილია შემდეგი შენიშვნა, როგორცა სჩანს, უცხო საქმეთა სამინისტროსაგან:

„ჩვენა გვაქვს საბუთი ვსთქვათ, რომ ღენერალ-ლეიტენანტი ვალენტინ ბეიქერ-ფაშა დაინიშნება ოტტომანის სამმართველოსაგან ქურდისტანის უმთავრეს სამხედრო და სამოქალაქო თანამდებობაზედ.

ბეიქერ-ფაშამ დაამტკიცა ამ უკანასკნელ ომიანობის დროს, რომ ის არის ნიჭიერი კომანდირი; ის გათქმულია ოსმალოს არმიაში და ამიტომ სრული იმედია, რომ ის დასძლევს ყოველივე ძალადობას ქურთებისას და მიანიჭებს ამ მხარეს კეთილ-მშვიდობიანობას და მტკიცე მმართველობას!

—„პოლიტიკურ კორრესპონდენციაში“ სწერენ სტამბოლიდამ 26 ივლისიდამ, რომ „საბერძნეთის სამძღვრებზედ მოლაპარაკება დაიწყება ამ კვირაში. სავფეტ-ფაშამ თავის უკანასკნელ მყოფობის დროს პარიჟში გაიგო გადაწყვეტილება ამ საქმეზედ საფრანგეთის სამმართველოსაგან.

—ვენიდამ აცნობებენ ერთ უცხო ქვეყნის გაზეთს 25 ივლისიდამ, რომ „არიფი-ფაშას მოლაპარაკება აქვს ამ ქალაქის ბანკირებთან, რომ ისესხოს ფულები ჯამაგირის მისაცემად სტამბოლის გარნიზონის ჯარებისთვის, რომელნიც დიდ უკმაყოფილებას აცხადებენ მიუღებლობაზედ.“

—სტამბოლიდამ იწერებიან 25 ივლისიდამ, რომ „ახალი სამინისტროს შედგენა უკვე გარდაწყვეტილია. დიდი ვეზირობა ისევ იქნება და ამის თანამდებობა ეჭირება საფვეტ-ფაშას; კაბინეთს ამას გარდა შეადგენენ შემდეგი პირნი: არიფი-ფაშა უცხო საქმეთა მინისტრი; სადიკ-ფაშა ფინანსისა; მაჰმუდ-ნედიმ- ფაშა—ზღვისა, სერვერ-ფაშა საზოგადო მუშაობისა და და ჰეირედდინ-ფაშა დაინიშნება სახელმწიფო რჩევის პრეზიდენტათ“.

## საფრანგეთი და ინგლისი

ალექსანდრიიდამ აცნობებენ 25 ივლისიდამ, რომ „საფრანგეთისა და დიდი ბრიტანიის კონსულებმა აცნობებს თავიანთ სამმართველოებს დე ბლინიორისა და ბარინგის ამორჩევაზედ მგვიპტეს ფინანსის კანტროლიერებათ.“

# ნარევი

შემდეგს საზიზღარს ამბავს იწერებიან ერთ რუსულ გაზეთში:

„რუსეთის ერთ გუბერნიაში ერთი გლეხის, გვარათ შპოროვის, ორმა უფროსმა ქალებმა თავიანთ უნცროს, 12 წლის დას რაღაც დიდი ცვლილება შეამცნიეს და დაუწყეს გამოკითხვა, თუ რა მოუვიდა? ამან ტირილით უთხრა დებს, რომ ის მამამ გააუპატიურა. უფროსმა დებმა გააგებინეს ეს თავის დედას და დედიდას. ამ შპოროვისაგან ორივე უფროსი ქალებიც გაუპატიურებულნი იყვნენ სწორეთ იმ დროს, როცა ისინიც უნცროსი დის ხნისანი იყვნენ, მაგრამ შპოროვის ცოლი ჰფარამდა ქმრის იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანაშაულობას. ახლა კი გადასწყვიტა გარდასცეს ის მართლ-მსაჯულების ხელში. ამისათვის უთხრა თავის ქალებს, რომ გასცენ მამა და განაცხადონ იმისი მხეცური მოქმედება სასამართლოში.

დანიშნეს საქმის გარჩევა. უპოროვი (ორმოცი წლის კაცი) სასამართლოში იყო წყნარად, დამშვიდებული; ცილის წამებაზედ უარს ჰყოფდა და ამბობდა, რომ არაფერი დამტკიცებები არ არის, რომ ქალები ტყუილად სწამებენ და სხ. უნცროსი ქალი ამბობდა: დასამტკიცებლად მნახველები იმ მოქმედებისა მართლა არავინ არისო გარდა ღვთისა.

მოწმეებათ იყვნენ სამივე გაუპატიურებული ქალები, ამათი დედიდა და ბებია.

თუმცა დამნაშავის გასამტყუნებლად არავითარი საბუთი არ იყო, მაგრამ მსაჯულებმა შეადგინეს განჩინება, რომ უპოროვი გაიგზავნოს კატორღაში თორმეტის წლით.

*
* *

მეორე რუსულ გაზეთში ვკითხულობთ, რომ რუსეთისავე ერთ ქალაქში ამას წინათ დაუმარხავთ ერთი ჩინოვნიკის უეცრად გარდაცვლილი ცოლი. მთავრობის განკარგულებით რამოდენიმე ხნის (ერთი თვის) შემდეგ გაუთხრიათ საფლავი, რადგან ეჭვი შეუტანიათ, რომ იქნება ჯერ მკვდარი არ იყოო რომ ასე მსწრაფლ დამარხესო. მართლაც, აუხდიათ თუ არა კუბო, უნახავთ ნახევრად დაბადებული ბავშვი. ყველაფერი ნიშნები ცხადათ ამტკიცებდნენ, რომ ის ქალი თურმე მართლა ცოცხალი დაუმარხავთ (რასაკვირველია, შეცდომით).

*
* *

ერთი მოხუცი მღვდელი ისე მიქცეულა, რომ წირვის ასრულება აღარ შესძლებია. არქიელს სდომებია იმისი დათხოვნა, მაგრამ მიზეზი ვეღარ უშოვნია. ამისათვის მოუგონია, რომ შენ რუსული ენა არ იცი და რუსულათ ვერა სწირამო!

— თქვენო მაღალ უსამღვდელოესობავ! მიუგო მღვდელმან: „ეს ორმოცი წელიწადია ქართულათა ვსწირავ, ვლოცულობ და ახლა რა მოხდა; ღმერთს განა დაავიწყდა ქართული, რომ ჩემი წირვა-ლოცვა ვეღარ გაიგონოსო“?

*
* *

ერთი ბებერი მივიდა მსაჯულთან და იჩივლა, რომ შვილები არ მინახავენო.

— წადი, დედაო შინა! გადაუწყვიტა მსაჯულმა: „შენს შვილებს მე ვუბრძანებ შეგინახონო და თუ მოკვდები და არ დაგმარხავენო, საჩივარი ამაზედ მაშინ შემოიტანეო!“


# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება
სახალხო საექიმო წიგნი

## კარაბადინი

შედგენილი
მღ. დავით ღამბაშიძისაგან.
გამოცემა პირველი.

ფასი გაგზავნით უყდოთ ერთი მანეთი, ყდით ექვსი აბაზი.

წიგნის ყიდვა შეიძლება:

ტ ფ ი ლ ი ს შ ი — ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში.

ქ უ თ ა ი ს შ ი — სიმონ ცერვაძის მაღაზიაში (გიმნაზიის მახლობლად).

ა ხ ა ლ-ს ე ნ ა კ შ ი — ბლაღოჩინს სისორდიასთან.

ზ უ გ დ ი დ შ ი — ბლაღოჩინ მიხ. მეუნარგიასთან.

ლ ე ჩ ხ უ მ შ ი (ლაილაშში) — ბლაღოჩინ ილარიონ გერსამიასთან.

ს ა ჩ ხ ე რ ე შ ი — ყარამან ჩხეიძესთან — სახოფლო შკოლაში.

გ ო რ შ ი — პავლე ბურჯანაძესთან (სასულიერო სასწავლებელში).

ყ ვ ი რ ი ლ ა შ ი — ბლაღოჩინ დავით ღამბაშიძესთან.

დაბარება შეიძლება თვითონ გამომცემლისაგან, მღ. დ. ღამბაშიძისაგან (დ. ყვირილიდამ), ამ ადრესით: Въ м. Квирилы (Кут. губ.). Священнику Давиду Гамбашидзе. ვინც ათ ეგზემპლიარზე მეტს დაიბარებს, მანეთზე ორი შაური დაეთმობა.

(7—5)

# „ბათუმი“

## ახალი სასტუმრო ქუთაისში.

ახლად გახსნილის ქ. ქუთაისში ბათუმის სასტუმროს მასპინძელი ვაცხადებ პატივცემულის საზოგადოების საცნობლად, რომ მე გავათავე ყველა ახალი მოშენებული ოთახები ჩემის სასტუმროისა და ფასებიც შევამცირე, ასე რომ 33-ს ოთახში, რომელიც ჩემს სასტუმროში არის, ზოგი 50 კაპეიკად ღირს, ზოგი 70 კაპ., ზოგი 1 მ., 1 მ. 50 კაპ., 2 მან. და 3 მან. ამასთანავე სასმელ-საჭმლის ფასიც დავამცირე. აქტიორებს და სხვა მოთამაშებთაგანს მეათედ ფასს ვუკლებ ყველაფერზედ.

ზ. ბარძიმიშვილი.

(3—3)


| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისი . . | 9 | 21 | 5 | 18 | მ | კაპ. | მ. | კაპ. |
| მცხეთა . . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 85 | - | 44 |
| გორი. . . . | 11 | 58 | 9 | 43 | 3 | „ | 1 | 53 |
| ხაშური . . . | 1 | 29 | 11 | 57 | 4 | 73 | 2 | 42 |
| სურამი . . . | 1 | 44 | | | 4 | 90 | 2 | 61 |
| ყვირილა . . | 5 | 49 | | | 7 | 21 | 3 | 69 |
| რიონი. . . . | 6 | 57 | | | 8 | 44 | 4 | 31 |
| სამტრედია . | 7 | 51 | | | 9 | 66 | 4 | 93 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 10 | 71 | 5 | 47 |
| ფოთი. . . . | 9 | 50 | | | 12 | 24 | 6 | 26 |
| ფოთი . . . . | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ სენაკი. | 10 | 14 | | | 1 | 53 | - | 78 |
| სამტრედია . | 11 | 5 | | | 2 | 61 | 1 | 33 |
| რიონი . . . | 12 | 13 | | | 3 | 84 | 1 | 97 |
| ყვირილა . . | 1 | 18 | ღამე. | | 5 | 3 | 2 | 56 |
| სურამი . . . | 5 | 12 | 1 | 10 | 7 | 34 | 3 | 74 |
| ხაშური . . . | 5 | 39 | 1 | 37 | 7 | 51 | 3 | 84 |
| გორი . . . . | 7 | 5 | 4 | 8 | 9 | 24 | 4 | 73 |
| მცხეთა . . | 8 | 50 | 6 | 59 | 11 | 39 | 5 | 82 |
| ტფილისი. . | 9 | 31 | 7 | 56 | 12 | 24 | 6 | 26 |

| ტელეგრაფი | მან | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა ტფილისიდამ: | | |
| კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში . . . . . . . . . | — | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს, | 2 | — |
| პეტერბურღს, ვარშავს . . . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში . | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში . | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . . . . . | 3 | 75 |

### ფოჩტა

ა) ტფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ. — პარასკ. და ორშ. კახეთს — სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: ტფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ლია წიგნს . . . . . | 3 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 7 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| ტფილისი 9 აგვისტ. | | |
| ფქვ. თეთ. განჯისა ფუთ. | 2 | 40 |
| ფქვ. წითელი . . | 1 | 70 |
| ქერი ფუთი . . . | 1 | 40 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი. | 8 | 20 |
| — ამერიკისა, ფუთი . | 9 | 50 |
| ბაჲენტილი ბამბა ფუთი. | 10 | 70 |
| მატყლი თუშური ფუთი. | 8 | 40 |
| — თარაქამისა ფუთი . | 3 | 80 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | 10 |
| ქონი ფუთი . . . | 5 | 60 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 6 | 80 |
| სტეარინის სანთელი ფ. | 12 | — |
| ხორცი ძროხისა .ლიტრა | — | — |
| — ცხვრისა, ლიტრა . . | — | — |
| სპირტი ვედრო . . | 4 | 50 |
| შაქარი ბროც. ფუთ . | 7 | 5 |
| — ფხვნილი ფუთი . | 5 | 60 |
| ყავა რგვალი გრვ. . | — | 60 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთი. | 13 | 60 |
| თამბაქო საშუალო ფთ. | 6 | 70 |

### ტფილისის სამკურნალო.

ერევნ. მოედ., წინამძღვაროვ. სახლი.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის 8 საათიდამ 10-დინ.

ო რ შ ა ბ ა თ ს: ლისიცევი და ბარალევიჩი — შინაგ. ავათმყოფობის.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი და ბაბოვი — გულისა და შინაგ. ავათმყოფ.; რეიხი — თვალის, ყურავლევი — კანისა და ვენერიულის, ბახუტოვი — ქალისა და ბავშვების.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ს: ლისიცევი — შინაგ, ბაბაევი — ნერვების.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი — შინაგ. ავათთმყ. და ყურავლევი — კანის და ვენერიულის.

პ ა რ ა რ ა ს კ ე ვ ს იქნებიან: ლისიცევი, ბაბოვი, ბაბაევი და ბახუტოვი.

შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი, რეიხი და ყურავლევი.

ორბეხტი — კბილის ექიმი და ბაბაევი მიიღებენ შინ, ღარიბებს მუქთად.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 Августъ 1879 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი.